ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №36

28 დეკემბერი 2016 წ.

ოზურგეთი,ნატანები (შეკვეთილი)

ერთი მხრივ, შპს „ელექტრონ დე"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ჭანტურიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსრულებელი") და მეორე მხრივ, შპს „სერვისი 7"–ის დირექტორის ნინო ჩხაიძის სახით (შემდგომში წოდებული „დამკვეთი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საქართველოში მოქმედი ნორმების, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად, შეასრულოს 35/10კვ-ის ქ/ს ციცინათელას №2ფიდერის, სპ №1-ის შემყვანი უჯრედის და მათ შორის დამაკავშირებელი დაზიანებული ACB 3x240 კაბელის აღდგენისათვის საჭირო სამუშაოები (შემდგომში „სამუშაო"). ტრანსფორმატორების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება cvp50532200

1.2. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს საკუთარი მასალებით.

1.3. სამუშაოს ღირებულება და აღწერილობა გათვალისწინებული იქნება ხარჯთაღრიცხვაში (ფორმა №97), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. სამუშაოს ღირებულება

2.1. სამუშაოს სრული ღირებულება შეადგენს 2000.84 (ორიათასი ლარი და 84 თეთრი) ლარს, ხოლო სამუშაოს ცალკეული კომპონენტების ღირებულება მოცემულია ზემოხსენებულ ხარჯთაღრიცხვაში.

2.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას შემსრულებელი ვალდებული გახდა გადაიხადოს დღგ, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება ასევე მოიცავს დღგ–ს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების დასრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 5(ხუთი) სამუშაო დღეში.

4. სამუშაოს შესრულების ვადა

4.1. მხარეები შეთანხმდნენ სამუშაოს განხორციელების შემდეგ ვადებზე:

4.1.1 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

5.1.2. 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოში ან მის რომელიმე კომპონენტში გამოვლენილი ყველა ნაკლოვანება/ხარვეზი.

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად

5.3. დამკვეთი ვალდებულია:

5.3.1. მიიღოს ჯეროვნად შესრულებული სამუშაო და განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების და მისი შემადგენელი ნაწილების შესაბამისად;

5.3.2. სამუშაოს მოწონების შემთხვევაში ხელი მოაწეროს შემსრულებლის მიერ ხელმოწერილ სამუშაოს მიღება–ჩაბარების აქტს შემსრულებლის მიერ მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ან წარუდგინოს შემსრულებელს მოტივირებული უარი მიღება–ჩაბარების აქტზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით.

5.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

5.4.1. მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი არ იწყებს სამუშაოს განხორციელებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ან თუ სამუშაოს შესრულების ტემპიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მათი დროულად შესრულება ხდება აშკარად შეუძლებელი. ამასთან, დამკვეთის ეს უფლება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული გარემოებები გამოწვეულია შემსრულებლის ბრალით.

5.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე ან არ ასრულებს მას დადგენილ ვადაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტში აღწერილი უნდა იყოს განხორციელებული სამუშაო და მისი ღირებულება.

6.2 შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების/პირობის შესრულების შემდეგ.

7. პასუხისმგებლობა, დავები

7.1. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოება და დავები გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს შესაბამის სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, და ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.3. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური ამასთან დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს უხარისხობით მიყენებული ზარალი/ზიანი, ასევე ჯარიმა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ოდენობით.

7.4. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე დამკვეთს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დაეკისრება, რაიმე სახის ადმინისტრაციული სახდელი (ან სხვა სახის პასუხისმგებლობა), ან/და დამკვეთს ან მესამე პირებს მიადგებათ ნებისმიერი სახის ზიანი, შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ადმინისტრაციული სახდელის (სხვა სახის ჯარიმის) სახით გადახდილი თანხა ან/და ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის დავალებით შესრულებული სამუშაოს ღირებულება და დამკვეთისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხა ან განხორციელებული ქმედების შესაბამისი ღირებულება.

8. დამატებითი პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია სათანადო წესით, ორივე მხარის მიერ.

8.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

8.3. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სამუშაოს სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი:
შპს „სერვისი 7“
ს/კ: 204532899
მის: ოზურგეთი ნატანები (შეკვეთილი)

/ნ.ჩხაიძე/

შემსრულებელი:
შპს „ელექტრონ დე“
ს/კ: 404518161
მის: თბილისი, ძველი თბილისის

რ-ნი ზ.ქიქოძის ქ., N 12

საბანკო რეკვიზიტები: სს „ტერა ბანკი“

ბანკის კოდი: TEBAGE22

ა/ა: GE20KS0000000360204913

/ა.ჭანტურიშვილი/

ფორმა №97

28 დეკემბერი 2016 წელი

შემსრულ შპს „ელექტრონ დე"

საიდენტ 404518161

მისამარ თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი ზ.ქიქოძის ქ., 12

ანგარიშ GE20KS0000000360204913

ბანკის დ სს„ტერა ბანკი"

ბანკის კ TEBAGE22

შემკვეთი შპს "სერვისი–7"
204532899

ოზურგეთი ნატანები (შეკვეთილი)

GE49CR0150009200013402

სს "ბანკი ქართუ"

CRTUGE22

35/10კვ-ის ქ/ს ციცინათელას №2ფიდერის, სპ №1-ის შემყვანი უჯრედის და მათ შორის დამაკავშირებელი დაზიანებული ACB 3x240კაბელის აღდგენისათვის საჭირო მასალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

I	მასალების და სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთეულის ფასი	თანხა
1	დენის ტრანსფორმატორი LZZBJ9-10 300/5 , 10 კვ	ცალი	2	570,00	1140,00
2	რეიჰემის ტიპის დამაბოლოებელი ქუroo	ცალი	2	100,00	200,00
3	ზეთიანი უჯრედის საყრდენი იზოლიატორი	ცალი	1	10,00	10,00
4	ზეთიანი უჯრედის საყრდენი იზოლიატორის შეცვლა დანის რეგულირება	ცალი	1	10,00	10,00
5	რეიჰემის ტიპის დამაბოლოებელი ქუroos მონტაჟი	ცალი	2	10,00	20,00
6	სპ №1-ში შემყვანი უჯრედიდან დაზიანებული დენის ტრ-რების დემონტაჟი და მათ ნაცვლად LZZBJ9-10 300/5 , 10 კვ-ის ტრ-რების მონტაჟი	ცალი	2	10,00	20,00
	ჯამი				1400,00
	ტრანსპორტის ხარჯი				95,00
	ჯამი				1495,00
	ზედნადები ხარჯი		6%		89,70
	ჯამი				1584,70
	გეგმიური დაგროვება		7%		110,93
	ჯამი				1695,63
	დ ღ გ		18%		305,21
	ჯამი სულ				2000,84
	ორი ათასი ლარი და 84თეთრი				

შპს „ელექტრონ დე"-ს
დირექტორი

არჩილ ჭანტურიშვილი

მიღება–ჩაბარების აქტი

(2016 წლის 28 დეკემბერი ხელშეკრულება)

31 დეკემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, შპს „ელექტრონ დე"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ჭანტურიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსრულებელი") და მეორე მხრივ, შპს „სერვისი 7"–ის დირექტორის ნინო ჩხაიძის სახით (შემდგომში წოდებული „დამკვეთი") ვდებთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტს შემდეგზე:

1. 2016 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო შესრულებულია მისაღები ხარისხითა და სრული მოცულობით.

2. სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 2000.84 (ორიათასი ლარი და 84 თეთრი) ლარი.

დამკვეთი:	შემსრულებელი:
შპს „სერვისი 7"	შპს „ელექტრონ დე"
ს/კ: 204532899	ს/კ: 404518161
მის: ოზურგეთი ნატანები (შეკვეთილი)	მის: თბილისი, ძველი თბილისის
	რ-ნი ზ.ქიქოძის ქ., N 12
	საბანკო რეკვიზიტები: სს „ტერა ბანკი"
	ბანკის კოდი: TEBAGE22
	ა/ა: GE20KS0000000360204913
/ნ.ჩხაიძე/	/ა.ჭანტურიშვილი/